შეაჩერე ტკივილი!

მოგახსენებთ, რომ დღეისათვის საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადამიანის ფუნდამეტური უფლებებისადმი პატივისცემის გამოხატულება და მათი დაცვა, თუმცა დღემდე საქართველოში კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაშია ინტენსიური ტკივილის მართვა და შესაბამის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, რითაც უხეშად ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, სამედიცინო და ბიოეთიკური პრინციპები.

ზემოთ აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ძლიერი ტკივილის მართვისთვის საჭირო პრეპარატები - ოპიოიდები, მიეკუთვნებიან კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტებს და მათზე ზედამხეველობა ექვემდებარება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას.

მოგმართავთ თხოვნით, დაესწროთ შეხვედრას, რომლის მიზანია ოპიოიდების სამედიცინო მიზნით მოხმარების მარეგულირებელი დოკუმენტების გადასინჯვა, რომლებიც ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ შემზღუდველია პაციენტებისათვის და არ ეფუძნება ტკივილის მართვის საუკეთესო პრაქტიკას.

ერთად მოვაგვაროთ ტკივილის მართვის პოლიტიკაში არსებული პრობლემები.

12 ოქტომბერი, 12:00 სთ
სასტუმრო “რადისონ ბლუ ივერია”
(ვარდების მოედანი N1, თბილისი)

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო